რედაქცია: ფრეილინის ქუჩა, № 13. ტფილისი.

ხელის მომწერნი გაზეთის დასაყვედურად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან. თითო ნომერი 3 კაპ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 6 კ.

ადრესი: Тифлисъ, Фрейлинская № 13 редакція „Цнобисъ Пурцели".

## მიიღება ხელის მოწერა დამდეგის 1897 წლისათვის

ვინც ამ თვეშივე წლიურად გამოიწერს, მას გაზეთი იანვრამდე მუქთად მიუვა. მიუვა აგრეთვე მუქთად საქართველოს კალენდარი 1897 წლისა.

**წლიური ფასი ექვსი მანათი.**

### რედაქციისაგან

ხელ-ახლად ვაუწყებთ იმ ახალ ხელის-მომწერთა, რომელნიც გვისაყვედურებენ, შიგა და შიგ თითო-ორიოლა ნომრები დაგვაკლდათო, რომ „ცნობის ფურცელი", თუმცა ამ ჟამად 2200 ეგზემპლიარი იბეჭდება, მაგრამ ცალკე ნომრების გაყიდვის გამო, **ზოგი ნომრები რედაქციას სრულებით არ მოეპოვება** და ამიტომ თავისდა უნებურად ვერ აკმაყოფილებს ახალ ხელის-მომწერლებს.

შემდეგისათვის რედაქცია, რომ თავიდამ აიცილოს საყვედური და თვით ხელის მომწერთაც მიუვიდეთ ხვედრი ნომრები, უმორჩილესად სთხოვს ყველას, **დროზედ შეატყობინონ რედაქციას გაზეთის დაკვეთის სურვილი**, რათა რედაქციამ, ხელის მომწერთა რაოდენობის მიხედვით, დაიჭიროს ანგარიში და დაბეჭდოს სამყოფი რიცხვი გაზეთისა.

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფებ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:
**ბ. ს. ნავასარდიანი**, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.
**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდნევა** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. ზრელსკვიჩი**. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
**ა. მ. შუგინოვი**. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
**ა. ვ. კარაპეტიანცი**. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:
**ი. ფ. ზრელსკვიჩი**. 5—6 საათ. სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათ.
**ა. მ. შუგინოვი**. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკევობით.
**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.
**ა. გ. გურკო** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს სამღოლაცია აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი. (წ)

**სამკურნალო და ამბულატორია ს. ზ. თოფურიასი**
ქუთაისში.
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანის, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა სქესის ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სჭამლობს ს. ზ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ზ. ქ. ზერძაძე(?).
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
ამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია. (წ.)

Вышла изъ печати и продается новая книга:
**ЭСКИЗЫ И ЭТЮДЫ**
Ил. Хонели (И. Л. Бахтадзе).
Содержаніе: Отъ автора.—„Доглаури".—Быль-Какъ „въ старину живали дѣды".— Князь-отщепенецъ. — Рамхотъ.— Горе Исаія.—Въ мірѣ фантазіи.—Легенда о Гандегили.— Амнуха-леки.—Смерть.— Сновидецъ.—Дервишъ.—Имеретинскій катеръ.—На цѣпи.—Кулисъ-карскій кюре.— Спасенная святыня.
**ЦѢНА 1 РУБЛЬ.**
Съ требованіями обращаться: въ контору редакціи „Кавказа", въ канцелярію „Общества распространенія грамотности среди грузинъ", а также въ книжный магазинъ г. Бѣгичева.
Въ Кутаисѣ изданіе продается въ книжныхъ магазинахъ гг. Чиладзе и Церетели.
Печатается и скоро выйдетъ въ свѣтъ брошюра того-же автора: „Къ 100-лѣтію Крцанисской битвы".
Содержаніе:—Къ 100-лѣтію Крцанисской битвы—Знамя Азатъ-Хана.—Герой Аспиндзи предъ судомъ „Хечагога".
**ЦѢНА 30 КОП.**

იაფად, სამუდმოდ და პირიანად ვსდგამ სახლებში
**ელექტრონის ზარებს**
მსურველთ საახალწლოდ იაფად გავუმართავ გაფუჭებულს და დამდგარს ზარებს.
შეიძლება მომმართონ გ. ჩარკვიანის სტამბაში, სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი.
მ. იანქოშვილი. (10—2)

გამოვიდა ახალი წიგნი
**მთიულეთი 1804 წ.**
ა. ფურცელაძისა.
ფასი 70 კ.
ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში. შემდეგ შემოსავალი გადადებულია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. (15—2)

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცელისა". („რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან".)

4 დეკემბერი

**პარიზი.** დეპუტატმა ლოკრუამ ფული მოითხოვა ფლოტის გასაძლიერებლად. მინისტრმა სთქვა: „ჩვენი ჯავშნიანი ხომალდები არაფრით ჩამოუვარდებიან უცხო ქვეყნების ხომალდებს. ეხლაც კიდევ მრავალი სამხედრო გემი კეთდება, რომლებიც ძლიერ კარგი იქნება სიმაგრით, ღონით და სისწრაფით. ხელოსნობის უფრო შრომის და იმედიც არის, რომ თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს". (ტაშის ცემა) ლოკრუას წინადადება უარჰყვეს.

**ვენა.** აქ მობრძანდნენ სერბიის მეფე ალექსანდრე და მილანი.

**სტამბოლი.** მინისტრთა კრებაზე განიხილეს საქმე აჯანყებულ სომხეთა პატიების შესახებ. სომხთა პატრიარქმა წარუდგინა ოსმალეთის მთავრობას ხელ-წერილი, რომ თუ დამნაშავეთ აპატიებს, ისინი ამიერიდგან წყნარად იქნებიანო. ამ გვარად თვით პატრიარქი ხდება თავდები, რომ პატიებული სომხები კარგად მოიქცევიან. პატრიარქმავე განაცხადა, რომ პატიებულ სომხებს ეკლესიაში დავაფიცებ სულთნის ერთგულობაზეო.

**ამაფენბურგი.** კრომერის ქარხნის ნანგრევებში კიდევ 10 ან 12 კაცი არის მოყოლებული. მიზეზი აფეთქებისა ჯერ არ იციან. უმთავრესი შენობა სრულიად განადგურდა, ისე ძლიერი ყოფილა აფეთქება. ქარხანაში მყოფი 15 მომუშავე ქალი მოკლულია. მრავალი ძლიერ დაშავდა.

### გუშინდელი დეპეშა

**სტამბოლი.** სახელმწიფო საბჭოს წევრი თეოდორაკი დანიშნულ იქმნა ადრიანოპოლის ვალის თანაშემწედ; მოავარ ელჩი ნამყოფი იკიადესი დანიშნულ იქმნა სივაშის ვალის თანაშემწედ და დიმიტრიაკოპულო ბეირუთის ვალის თანაშემწედ. სამთავენი ბერძნები არიან.

**ზანზიბარი.** მაგადოსკოდგან მოსული წერილი იუწყება, რომ 2 დეკემბერს სამხედრო გემმა „ვოლვერინემ" ყუმბარები დაუშინა სოფელ გეზირს, რომლის მცხოვრებლებმაც დახოცეს ჩეკკი და მისი ექსპედიცია. მაგადოსკოში გაასამართლეს დამნაშავენი, რომელთაც ექსპედიცია თავს დაესხა და ზოგიერთი თოფით დახვრიტეს.

## ახალი ამბავი

*** ქალაქის გამგეობისათვის სახლის შეძენის შესახებ. ამ დღეებში გამგეობამ გაიგზავნა სახლი ა. ს. კორგანოვისა იმ აზრით, სახეირო იქნება მისი შეძენა თუ არა. ეს სახლი ლაბორატორის ქუჩაზედ არის და იყიდება 100,000 მან. შემოსავალს იძლევა წლიურად 7500 მან. გამგეობას სახლში ჰქონდა მოთავსებინა ამ შენობაში თავისი სხვა-და-სხვა დაწესებულებანი. ანგარიშიდამ

ალმოჩნდა, რომ ამ დაწესებულებებზე ამ ჟამად ქალაქს ეხარჯება თითქმის 2000 მან. ნაკლები, ვიდრე სახლის დღევანდელი შემოსავალია. ამასთანავე თვით სახლი ძველია და უფრო მარჯვე იქნება ააშენოს ახალი სახლი ყოველის საჭირო მოწყობილებით. გარდა ამისა, საბჭოს გადადებული აქვს 70,000 მან. თავის სახლის გადასაკეთებლად. ყველა ამ მოსაზრებისა გამო, გამგეობამ გარდასწყვიტა, რომ ბ-ნ ყორღანოვის სახლის სყიდვა მას ხეირს არ მისცემს, თუმცა კი ეს შენობა მართლა ძვირფასია კერძო პირთათვის.

*** **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.** რადგან საფინანსო კომისიამ გაათავა განხილვა ქალაქის შემოსავლისა, ამიტომ თავმჯდომარე ამა კომისიისა ა. ს. ბაბოვი სთხოვს ქალაქის მოურავის მოადგილეს, რომ მან ორშაბათისთვის, 9 დეკემბერს, წარუდგინოს ხარჯთ-აღრიცხვა საბჭოს. ხოლო ქალაქის ხარჯს განიხილვენ შემოსავლის დამტკიცების შემდეგ, როცა კომისია წარმოადგენს თავის აზრს ხარჯის შესახებ.

*** **ახალი მოხსენება გამგეობისა საყასბოებზე.** ქალაქის გამგეობას კიდეც შეუდგენია ვრცელი მოხსენება ახალის საყასბოს ასაშენებლად და ორშაბათს საბჭოს წარუდგენს.

*** **დეპეშა გაზეთის „ტფ. ფურცლისა".** ვენიდგან დეპეშით იუწყებიან: ტყუილია, ვითომ ბოლგარიაში მცხოვრებ სომეხთა შორის რაიმე შეთქმულობა იყოს. სომხები დიდის მოთმინებით ელოდებიან სამშობლოში დაბრუნების ნება-რთვას.

აღძრულია ლაპარაკი შესახებ იმისა, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზით ბრინჯის გადატანის ფასი შემცირდეს.

ამ დღეებში დაიწყება კრება საგანგებო კომისიისა, რომელსაც ჰსურს გაადვილდეს დამტკიცება სხვა და სხვა საკრედიტო, სამრეწველო და სხვ. საზოგადოებათა წესდებისა.

*** **კრება ქართლ-კახეთის ეპარქიის მღვდელთა და მთავართა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებისა** დანიშნულია ტფილისში, ქვაშვეთის საეკკლესიო-სამრევლო სკოლის დარბაზში 10 დეკემბერს, საღამოს 6 საათზედ.

*** **სომეხთა სემინარია ბაქოში.** ამ სემინარიის დასაარსებლად საჭიროა 300,000 მანათი, რომელიც ბაქოელმა სომხებმა უნდა შეაგროვონ. ფულის მოგროვება უკვე დაიწყეს და სამიოდ დღეში შეაგროვეს 150,000 მანათი. ეს ფული შეუწირავს სულ 14—15 კაცს, თითოს 5—15 ათას მანათობით. ფულს აგროვებს ამ საქმისათვის შემდგარი საგანგებო კომიტეტი, რომელშიაც, სხვათა შორის, არიან: პ. ო. ლუკასოვი, ა. ი. ადამოვი, ხრ. გ. თუმაევი და სხვ. კომიტეტის თავმჯდომარედ არის ეპისკოპოსი ხორენ სტეფანე. („ნოვ. ობოზ.").

*** **ქურდის გაბმა ხაფანგში.** 3 დეკემბერს სასაცილო ამბავი დაემართა ერთს კოხტად ჩაცმულს ფრანტს ქურდ-ბაცაცას. თავად ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ანდრიასოვის ჭურჭლის მაღაზიაში ამ ჟამად დანიშნულია იაფი ვაჭრობა. მაღაზიის პატრონმა უკანასკნელს ხანებში შეამჩნია, რომ შემოსავალ კარების ახლო ეტაჟერკიდამ იკარგებოდა ხოლმე ბროლის საპუდრეები, მხოლოდ ქურდი-კი ვერ დაეჭირა. ანდრიასოვმა ქურდის მახეში გასაბმელად ეს-ღა მოახერხა, რომ რამდენიმე საპუდრე, რომელიც უფრო კარებთან ეწყო, მაგარი ძაფით მიაბა ეტაჟერკას. 3-ს დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, შებძანდა ამ მაღაზიაში ერთი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, სასყიდლად ფინჯანისა. მსყიდველ-გამსყიდველი ვერ მორიგდნენ ფასში. ყმაწვილი გამობრუნდა უკან, მაგრამ დახეთ უბედურებას! კარებთან მივიდა თუ არა, ასტეხეს საპუდრეებმა ჩხარა ჩხური, თურმე ერთი დაბმული საპუდრე ჩაეპარებინა ჯიბეში და მიატანა თუ არა ფეხ-აჩქარებით კარებს, იქ გაწყდა ძაფი და ჭურჭელმაც ხმა ამოიღო. მაღაზიის პატრონმა და ხალხმაც გაიგო, რაშიაც იყო საქმე. გააკავეს იქვე ჩვენი ფრანტი და ატკუცვიეს თავი პოლიციაში.

*** **ფოთიდან გვწერენ ერთს** სასაცილო ამბავს: როგორც ყოველგან, ჩვენშიაც გახშირებულია უნაყოფო დროს გატარება, ესე იგი ბანქოს თამაში. ამ კვირას „კოლხიდის" სასტუმროში ჩვეულებრივ შეყრილან ბანქოს მოტრფიალე ყმაწვილ-კაცები და გაუმართავთ ბრძოლა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ერთმანერთის ჯიბეების გაცალიერება. ჯერ ხანად საქმე, თურმე, მშვიდობიანად მიდიოდა, მაგრამ საუბედუროდ ერთი ახალგაზდა მოთამაშეთაგანის ნათესავი შემოჭრილა ამ ბანქოს მოტრფიალეთა კრებაში და... ბოლოს საქმე იმით გათავებულა, რომ ერთს ხმალი უძვრია და ვილაცასთვის ურეხვავს თავში და სამწუხაროდ იმისთვის კი არა, ვისთვისაც სდომებია. ამ ალიაქოთში და დავიდარაბაში ზოგნი ისე შემკრთალან და შეშინებულან, რომ მიშველების მაგიერ აქეთ-იქით დაქსაქსულან: ზოგს ფანჯრიდან უსკუპნია, ზოგი სად მიმალულა და ზოგი სად. ცოტა ხნის შემდეგ ოთახი დაცალიერებულა. მოთამაშეთ მაგიერ ქუდები, კალოშები, შინელები და ყაბალახები დარჩენია სასტუმროს პატრონს.

*** **სოხუმი.** სოხუმის ოლქი ყოველ წლივ, სულ ცოტა, 4 მილიონ მანათის სიმინდს, თამბაქოს და ხეტყესა ჰყიდის. რა თქმა უნდა ასეთის ვაჭრობისათვის საჭიროა ჩვენმა ვაჭრებმა ბანკებს მიჰმართონ ხოლმე ფულის სასესხებლად. უფრო ხშირად ვაჭრები ბათუმის ბანკებს მიმართავენ ხოლმე, მაგრამ სიშორის გამო ფულის მიღება ძრიელ უგვიანდებათ. სოხუმის ერთმა ვაჭარმა მიჰმართა ზოგიერთ ბანკებს და სთხოვა, თავიანთი განყოფილება გამართონ სოხუმში იმ პირობით, რომ ბანკმა ფული ასესხოს ვაჭრებს თამბაქოს, სიმინდის და ხე-ტყის დაგირავებით. ხსენებული ვაჭარი თავის მხრივ აძლევს ბანკს შენობას ზღვის პირას, ნავთ-სადგურის ახლოს და აგრეთვე ოთახებს ბანკის მოხელეთათვის და ბეღლებს დაგირავებულ საქონლის შესანახად.

*** **სტიპენდია ი. ს. ხატისოვის სახელობაზედ.** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გადასწყვიტა დააარსოს სტიპენდია საზოგადოების საპატიო წევრის განსვენებულის ი. ს. ხატისოვის სახელობაზედ მოსკოვის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში. რადგანაც სამეუნეო საზოგადოებას ამისათვის საკმაო შეძლება არა აქვს, მან მიმართა ტფილისის ქალაქის გამგეობას, შეატყობინა თავისი გარდაწყვეტილება და დაეკითხა, მოისურვებს თუ არა გამგეობა ამ საქმეში დაეხმაროს საზოგადოებას.

*** **ქუთაისი.** 2 ქრისტიშობისთვეს ქუთაისის ქალაქის საბჭომ განიხილა თავადის პავლე ალექსანდრის ძის თუმანიშვილის შემდეგი წინადადება: 1888 წელს მართებლობამ შეაწერა ქ. ქუთაისს სახელმწიფო გადასახადი 3126 მან. 1894 წელს ამ გადასახადს კიდევ მიუმატეს და ასწიეს 8128 მან. ეს გადასახადი რომ განაწილებულიყო, როგორც რიგია, ქალაქს უნდა ეზრუნა და მთელი ქუთაისის უძრავი მამულების ფასი უნდა შეეტყო, ე. ი. მამულები უნდა დაეფასებინა. 1888 წელს ქალაქის საბჭომ მთლად ქუთაისის უძრავი მამული დააფასა 3,460,000 მანათად, და შემდეგ 1894 წელს კიდევ ზევით ასწია და მიიყვანა 6,400,000 მანათამდე. პატივცემულმა თავადმა თუმანიშვილმა მიაქცია საბჭოს ყურადღება იმ გარემოებას, თუ რა მომეტებულს სახელმწიფო გარდასახად ხარჯს იხდის ქალაქი ქუთაისი შედარებით რუსეთის იმ ქალაქებთან, რომლებიც ქ. ქუთაისზე მაღლა დგანან, მცხოვრებთა რიცხვით, შემოსავლით და უძრავი მამულების ღირებულობითო. ბ-ნ თუმანიშვილმა მაგალითად მოიყვანა შემდეგი ქალაქები: სიმფეროპოლი, ეკატერინოსლავი, პენზა, სმოლენსკი, ვიატკა, ნოვ-გოროდი და კიდევ სხვ. და ციფრებით ნათლათ დაამტკიცა, რომ ზემოდ ჩამოთვლილი ქალაქები, თუმცა ყოველის მხრით უფრო მდიდარნი არიან ქ. ქუთაისზე, მაგრამ მიუხედავათ იმისა ქუთაისის მამულები სამჯერ უფრო ძვირათ არის დაფასებული; მაგალითად, ვიდრე სიმფეროპოლისა, რომლის შემოსავილი ძრიელ ბევრათ აღემატება ქუთაისის შემოსავალსო. ყოველივე ეს ზემო ნათქვამი თავ. თუმანიშვილმა ნათლათ დაამტკიცა და სთხოვა საბჭოს, ასეთი შეცდომის ასაცილებლათ, ხელმეორეთ დააფასეთ მთელი ქუთაისის უძრავი მამულები. საბჭომ ხანგრძლივის კამათის შემდეგ თავ. თუმანიშვილს წინადადება 18 ხმის უმრავლესობით წანაალმდეგ 9-სა უცვლელათ მიიღო. ამ რიგად თავ, თუმანიშვილის წინადადება, ეჭვი არ არის, ქალაქის ხარჯს შეამცირებს და მაშასადამე შემოსავალსაც შემატებს. საყვედურად კი არა და ისე კი ვიტყვით, რომ ჩვენი ქალაქის ხმოსნებში ძლიერ ცოტაა ისეთი, რომელსაც გული შესტკიოდეს ქალაქზე, თუმცა ინტელიგენტი ხმოსნები ღვთის წყალობით ბლომად გვყავან, მაგრამ რა გამოვიდა. მარტო ინტელიგენტობის სახელი როდი აკეთებს საქმეს. საჭიროა მეცადინეობა, ინიციატივა ღ უანგარო სიყვარული ქალაქისადმი. საცაა ქუთაისში ხმოსნების ახალი არჩევანები დაიწყება და რატომ არავინ ჰფიქრობს, თუ ვინ რა გააკეთა და შეჰმატა ამ სამის წლის განმავლობაში ქალაქს და მცხოვრებთ, ხოლო ხმოსნების არჩევანის დროს ყველას აეშლება სალერღელი და გაიმართება ერთი ჰაპანწყვეტა. ვიმეორებთ, მარტო ხმოსანის სახელი არ კმარა—სახელს სახრავიც უნდა, ესე იგი საქმის კეთება.

*** **სოფ. ბაა (ზუგდიდის მაზრა):** ჩვენი სოფლიდან დ. ხონამდის ისეთი გაუვალი და ცუდი გზაა, რომ უარესის წარმოდგენაც კი ძნელია. ეს გზა დიდი ხნის გაკეთებულია და რაერთი ხანია კაცის ხელი არ მიჰკარებია მას. სულ ერთიანად დაოღრო-ჩოღროებული და საკმარისია ოდნავ წამოწვიმოს, რომ ყოვლად გაუვალი და ჯოჯოხეთზედ უარესი შეიქმნას. ხალხს თითქმის ეკკლესიაში მისვლა უჭირს. სასურველია, ვისგანაც ჯერ არს, ხალხის მადლში ჩასდგეს და ამ გზას თვისი ყურადღება მიაქციოს.

*** **მოსკოვში ქართველ სტუდენტების** სასარგებლოდ დანიშნული 27-ს ამ თვისას „ქართული საღამო" ვერ მოხდება 27-ს და გადაიდო 12 თებერლისათვის.

*** **მოსკოვი:** პირველს დეკემბერს აქაური ვექილები უმართვენ სადილს „კონტინენტალში" ნაფიც ვექილს, თავადს ალექსანდრე ივანეს

...ეს ურუსოვს. ამ წელს შესრულდა 30 წელიწადი, რაც თ. ურუსოვი ...აფიც ვექილად არის. ალექსანდრე ...ვანესძე ურუსოვი ეკუთვნის იმ და-...უვიწყარ პირთ, რომელთაც თავისის ...ცდილობით და დახმარებით ბევრი ...შველა გაუწიეს სასამართლოს დაწე-...ებულებების გაუმჯობესობას. ალ. ...ვ-ძე იყო ერთი წევრთაგანი, რომე-...ლთაც მინდობილი ჰქონდათ ახალის ...კანონების (ალექსანდრე II წესდებები) ...შედგენა. თ. ურუსოვი ეხლა საუკე-...თესო ვექილია თითქმის მთელს რუ-...სეთში; ვგონებთ, ერთად ერთი ვექი-...ლია, რომელმაც მშვენივრათ იცის ...ფრანგების, გერმანელების და საზოგა-...დოთ ევროპის სახელმწიფოების კა-...ნონმდებლობა. თ. ურუსოვს ხშირათ ...მიიწვევენ ხოლმე საფრანგეთში ვე-...ქილათ.

*** **უუდიდესი შენობა.** უკანას-...კნელ დრომდე უუდიდესის შენო-...ბებით განთქმული იყო ამერიკის ქა-...ლაქი ჩიკაგო. ხოლო ამ ჟამად ნიუ-...იორკში აშენებენ ყველაზედ უდიდესს ...შენობას, რომელსაც ოცდა ცხრა ...სართული ექნება. ეს შენობა დაჯ-...დება 36 მილიონი მანათი.

*** **ინგლისურ გაზეთების აკრ-...ძალვა ოსმალეთში.** 30 ნოემბერს ...ოსმალეთში არავის არ მიუღია არც ...ერთი ინგლისური ჟურნალი ან გა-...ზეთი. მთავრობას სასტიკად აუკრძა-...ლავს ოსმალეთში ინგლისურ ჟურ-...ნალ-გაზეთების მიღება.

*** **შაბურიშვილის მოკვლის სა-...ქმე** გადაეცა გამოსაძიებლად საგან-...გებო საქმეთა გამომძიებელს. („ნოვ. ...ობოზრ.“).

*** **გაზეთი «მშაკი» სწერს:** ამ ...ჟამად ბერლინში 26 სომეხი სტუ-...დენტია. სამმა უკვე დაასრულა სამ-...კურნალო ფაკულტეტი და კლინი-...კებში მუშაობენ. სომეხ სტუდენტთა ...შორის ყველაზედ მეტი რუსეთიდგან ...არის—22, ოსმალეთიდგან—3 და ...სპარსეთიდგან 1.

*** **ედისონის ახალი გამოგო-...ნება.** განთქმულს და საქვეყნოდ ცნო-...ბილს ედისონს ამ ხანად კიდევ გა-...მოუგონია ერთ გვარი მანქანა, რო-...მელსაც უწოდებს ავტოტელეგრაფს. ...ეს ავტოტელეგრაფი საოცარ ცვლი-...ლებას მოახდენს შემდეგში, რადგან ...ამ მანქანის საშუალებით შეიძლება ...ყოველ გვარ მანძილზე გადაეცეს ...ყოველ ნაირი სურათი, როგორც ...მაგალითად დეპეშას გადასცემენ ხოლ-...მე. მაგრამ ყური დაუგდოთ თვითონ ...ედისონს, რას ამბობს იგი თავის ...ახალ გამოგონებაზე: „აზრი ამ მან-...ქანის გამოგონებისა ახალი არ არის; ...ეგი უკვე კასალამ მოისაზრა, მე მხო-...ლოდ გავაუმჯობესე და დავარქვი ...ეს სახელად ავტოტელეგრაფი. მე ...უფრო ადრე შევუდგებოდი ავტო-ტელეგრაფის გაუმჯობესობას, მაგ-რამ ამ უკანასკნელ ხანებში ყოველი ჩემი დრო მოვანდომე ტელეფონის გაუმჯობესობას. ჩემის ახალის მან-ქანით შეიძლება, სადაც მოისურვებთ, იქ გადასცეთ რაც გინდა რთული სურათი იყოს. მხატვარი დახატავს თუ არა სურათს, ზედ შემოახვევს ნახატს მანქანის ცილინდრს, დააჭერს ღილს და სურათი მყისვე გამოჩნდე-ბა თუნდაც ათასი ვერსის მანძილზე, სწორედ ისე, როგორც დეპეშა გა-დაეცემა ხოლმე ყოველგვარ სიშო-რეზე. ამ ჟამად მე მსურს, რომ მან-ქანა ადვილ სახმარებლად გავხადო, რათა ყველას შეეძლოს მისი ჯიბით ტარება. საკმარისია ტელეგრაფის აპარატთან დასდგათ, მიაბათ ტელე-გრაფის მავთულს და სადაც გინდათ და რა რიგ სურათიც გნებავთ სწრა-ფად გადასცეთ».

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ედისონი მალე ისეთს მანქანას მოი-გონებს, რომ ტელეგრაფის მავთუ-ლების საშუალებით ერთმანეთს ხე-დავდნენ ევროპიდან ამერიკაში.

*** **ისევ მწერალი ქალის მოკვლაზე.** ჩვენს გაზეთში უკვე იყო მოხსენე-ბული, რომ ერთმა მხატვარმა მოკლა მწერალი ქალი ევა კეტერმილი. ევა თითქმის ორმოცის წლის ქალი იყო. მისთხოვდა კაპიტანს მანჩინის, მაგრამ ქმარმა მოჰკლა ერთი მისი საყვარე-ლი და თვიც დაანება. რომში ევას ყველა ისე იცნობდა, როგორც არ-შიყ ქალს და ძლიერ ბევრიც ეარ-შიყებოდა. უკანასკნელი მისი საყვა-რელი, რომელმაც მოჰკლა, პიერან-ტონი არის, კაცი უზნეო და გარ-ყვნილი. პიერანტონმა სთქვა: ეჭვის გამო მოვკალი ევაო; მხოლოდ თვით ქალმა სიკვდილის დროს გამოაცხადა, პიერონტონი ფულს მართმევდა ხოლ-მე და როდესაც მე, მოთმინება გა-მოლეულმა, დავემუქრე, რომ ამ ამბავს პოლიციას შევატყობინებ მეთქი, მხეცივით მეცა და ჩემისავე რევოლვერით დამჭრაო, ევა კეტერ-მილი ბევრს გაზეთებში სწერდა წე-რილებს და მშვენიერს ლექსებს.

*** **გაზეთი მატარებელში.** ბარ-ლინგტონის რკინის გზის საზოგადო-ებას (ამერიკაში) განუზრახავს ბეჭდოს მატარებელში ყოველ-დღიური გაზე-თი. საგანგებოდ ამისათვის სამს ვა-გონს აკეთებენ; ერთში რედაქცია იქმნება, მეორეში გაზეთს ააწყობენ და მესამეში დაბეჭდამენ. დეპეშებსა და ახალ ამბებს რედაქცია მიიღებს ყველა სადგურებიდგან, სადაც საგან-გებო კორესპოდენტებს იყოლიებს.

*** **ვაგონებ-სახლები.** ამ ბოლო დროს ბევრი ამერიკელი საზაფხუ-ლოდ ძველ ვაგონებში სცხოვრობენ. კონეკტიკუტის შტატში, მაგალითად, 600 ვაგონზედ მეტი საზაფხულო სახლებად გადააკეთეს. უფრო მდი-დარი კაცები სამ ოთხ ვაგონში სცხოვ-რობენ,—ერთი ვაგონი საწოლ ოთა-ხადა აქვთ მოწყობილი, მეორე პუ-რის საჭმელ ოთახად, მესამე—სამზა-რეულოთ და სხვ. რკინის გზის მმართველობა ძლიერ კმაყოფილია, რომ ამ გვარად ძველ ვაგონებს აქი-რავებს.

*** ჩვენმა რედაქციამ მიიღო ქუთა-ისის წიგნების გამომცემელ ამხანაგო-ბისაგან სამი წიგნი: „საქართველოს საშუალო საუკუნეთა ისტორია“ (№ 11) თ. ს. ბარათაშვილისა, ნათარგმნი რუსულიდან ს. ხუნდაძეს მიერ, ფა-სი 30 კაპ.; „ქინაქინის ამბავი“ (№ 12) დიმ. ივ. ყიფიანის მიერ გადმოკეთებული ქანლისის თხზულე-ბიდან, ფასი 10 კ. და „დედა-შვი-ლის თავგადასავალი“ დე-ამიჩისა, ნა-თარგმნი ა. პ.—საგან (№ 13) მეორე გამოცემა, ფასი 15 კაპ.

სამივე წიგნი იშვიათის სისუფთა-ვით და შნოიანად არის გამოცემუ-ლი კარგსა და სქელს ქაღალდზე. ქუთაისის წიგნების გამომცემელი ამ-ხანაგობა თითქოს უფრო დაჰკვირ-ვებია ხალხის მოთხოვნილებას, ვიდ-რე ტფილისის ამხანაგობა და ძალ-ღონისა დაგვარად შესდგომია სახალ-ხო წიგნების ბეჭდვას; მათ მიერ გა-მოცემული წიგნები შედარებით ძრი-ელ იაფია და საგანიც მეტად სიმპა-ტიური აქვს: მიაწოდოს ხალხს უფ-რო სამეცნიერო საკითხავი წიგნები. ვისურვებთ, რომ ამ გზაზე უფრო მეტი სიმხნევე და ბეჯითობა გამო-ეჩინოს ამხანაგობას.

სამივე წიგნი კარგის და გასაგების ენით არის ნათარგმნი, განსაკუთრე-ბით „დედა-შვილის თავგადასავალი“. ძრიელ ადვილად წასაკითხია აგრე-თვე „საქართველოს საშუალო საუ-კუნეთა ისტორია“, თარგმნილი ს. ხუნდაძის მიერ.

სასურველია, რომ წიგნები არა მარტო იბეჭდებოდეს, არამედ რაც შეიძლება მეტი ვრცელდებოდეს და ამიტომ ჩვენი გამომცემელნი ამხანა-გობანი ამ გარემოებას რომ უმთავ-რესს ყურადღებას მიაქცევდნენ ძა-ლიან საჭირო და სასარგებლო იქ-ნებოდა. წიგნების შეძენის სურვილი ჩვენში ბევრსა აქვს, მაგრამ მათი სყიდვა უძნელდებათ, რადგან ყო-ველგან არ იშოვება წიგნი და გან-საკუთრებით დაბა სოფლებში სულაც არ არის ჯერ ჯეროვნად წიგნებით ვაჭრობის საქმე ჯეროვან დონეზე დაყენებული.

აქ არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ აღვნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენს სტამბებს დიდი გაუმ-ჯობესობა დაეტყო წიგნების ბეჭდ-ვაში და ახლად დაბეჭდილი წიგნე-ბი გაცილებით სჯობია წინან-დელ ნაბეჭდებსა. ამ შემთხვევაში ი. კილაძეს და ი. ხელაძეს დასტამბუ-ლი წიგნები სწორედ მოსაწონი და საქებია მათის სიწმინდით და გარეგ-ნულის სილამაზით

## თეატრის მატიანე.

**ქართული თეატრი.** გუშინ-წინ, ოთხშაბათს, ქართულს თეატრში ნ. გაბუნიას საბენეფისოდ წარმოადგი-ნეს ხუთ-მოქმედებიანი მელოდრამა „ორი ობოლი“. საზოგადოება წარ-მოდგენას საკმაოდ დაესწრო და მო-ბენეფისეს თაიგული მიართვეს და ტაშის-ცემით მიიღეს.

რაც შეეხება წარმოდგენას, სამწუ-ხაროდ, უნდა ვსთქვათ, რომ მან ჩვეულებრივზე უარესად ჩაიარა. განსა-კუთრებით უხერხულობა ეტყობოდა სცენის მოწყობას და რეჟისორულს ნაწილს. ცალ-ცალკე ყველანი ცდი-ლობდნენ როლები არ გაეფუჭები-ნათ, მაგრამ საერთოდ-კი წარმოდგე-ნას სრული მოუმზადებლობა ეტყო-ბოდა. კერძოთ ახალ მოთამაშეებში კარგები იყვნენ ქ-ნი გარგარელისა, თუმცა შეუფერებელი როლი ჰქონ-და. ბ-ნი მარჯანიშვილი (პიერ) გან-საკუთრებით უკანასკნელ სცენაში, სადაც საკმაო გრძნობაც და ხელოვ-ნებაც გამოიჩინა.

**საქველ მოქმედო წარმოდგენა სი-ღნაღში.** ჩვეულებრივს მყუდროებას და ხანგრძლივს სიჩუმეს სიღნაღელე-ბისას ცოტათი მაინც სიცხოველე დაეტყო. ამ თვის პირველს, კვირას, კნ. ნ. ს. ანდრონიკაშვილის მეცა-დინეობით და თავ. ნ. გ. თუმანი-შვილის დახმარებით სიღნაღელებსაც ეღირსათ გულის და სულის გასართო-ბი მოლხენა—გაიმართა ქართულ-რუსული წარმოდგენა ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან. შემოსავალი წარმოდგენიდამ დანიშნულ იყო სიღ-ნაღში ახლად დაარსებულ საქალებო სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენილ იყო ქართულად 1 მოქმ. ვოდევილი ვ. გუნიასი „ჩათრევას ჩაყოლა სჯო-ბია“ და რუსულად «უბედურება ვინტის თამაშობიდგან». ქართულ ვოდევილში მშვენივრად აასრულეს როლები ნ. ძიძიკაშვილმა და ქ-ნმა ვ. მაისურაძისამ. კარგები იყვნენ აგ-რეთვე ო. ტერ-ასტვაცატუროვისა და კნ. ელ. ანდრონიკაშვილისა.

საზოგადოდ რუსულ ვოდევილში ხელოვნურად შეასრულეს თავიანთი როლები ქ-ნ ჩერეპანოვისამ და ბ-მა ჩუბკოვმა. დანარჩენთაც არა უჭირ-დათ-რა. საერთოდ ორივე წარმოდ-გენამ კარგად ჩაიარა, ხოლო საზო-გადოება ნაკლებად დაესწრო და სწორედ საოცარია ასეთი გულ-გრი-ლობა სიღნაღელებისაგან იმ საქმისა-დმი, რომელიც მხოლოდ მათ სასარ-გებლოდ და სადღეგრძელოდ არის დაარსებული.

დიდის მადლობის ღირსნი არიან კნ. ნ. ს. ანდრონიკაშვილისა, რო-მელმაც ბევრი იშრომა და იმეცადი-ნა ამ საკეთილო საქმის მოწყობისა-თვის და აგრეთვე ყველა ის პირნი, რომელთაც ხელი მოუმართეს და შემწეობა აღმოუჩინეს თავიანთის

დახმარებით თუ მონაწილეობის მიღებით ამ წმიდა საქმეს.

გ. იესეევი.

## პოლიციის მატიანე

4 დეკემბერს, საღამოთი, სოლოლაკის ქუჩაზედ, თ. ბებუროვის სახლში, ქურდებმა გასტეხეს ოთახი ოსმალეთის ქვეშევრდომის კრიკორ მამუკოვის ოთახი და მოიპარეს 30 მანათი. ქურდებს პოლიცია დაეძებს.

—

4 დეკემბერს, ავლაბარში, ეტლი დაეჯახა დარჩო სარქისოვს და ალექსანდრე ალიხანოვს. მეეტლე ახნაზაროვი პასუხის გებაში მისცეს.

იმავე დღეს, ავლაბარშივე ეტლი დაეჯახა გენერალს თ. დავით აბაშიძეს, რომელიც ცოტათი დაშავდა. მეეტლე გაბრიელ როინაშვილი პასუხის გებაში მისცეს.

—

4 დეკემბერს პოლიციაში მივიდა ქალი თებრონია რომანოვისა და განაცხადა, ერთის თვით სოფელში წაველი და სახლი ჩავაბარე მოსამსახურე ალექსანდრე პაპაშვილს. დაუტოვე ღია შკაფი ვერცხლეულით და ტანთსაცმელით, რომ ტანისამოსისათვის ყური ეგდო. როცა დავბრუნდი, 758 მანათის ოქროული და ვერცხლეული აღარ დამხვდაო.

პოლიციამ ეჭვი მიიტანა ალექსანდრე პაპაშვილსა და მედუქნე ბაგრატ ბაინდუროვზე და ორთავენი დააპატიმრა.

## რკინის გზის ამბები.

სადგურ გომის ახლოს მატარებელს ქვეშ მოჰყვა ერთი გლეხი, გვარად აბულაძე. მატარებელმა მარცხენა ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული ხაშურში წაიყვანეს, რკინის გზის სამკურნალოში.

—

შორაპნის სადგურის მახლობლად, მატარებლის გამოვლის ცოტა უწინ, ლიანდაგზედ გადმოვარდა სამი დიდი ქვა, დაეცა რელსებს და მოღუნა. მატარებელი მთელ $1^1/_2$ საათს გზაში იდგა, ვიდრე ლიანდაგს შეაკეთებდნენ.

## სასამართლოს მატიანე.

ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე სომხურ ჟურნალ „ტარაზის“ რედაქტორის ტ. ნაზარიანცისა, რომელსაც ბრალდებოდა, რომ სომხურისავე გაზეთის „არძაგანქის“ რედაქტორს ა. იოანისიანს ცილი დასწამა. ოლქის სასამართლომ ტ. ნაზარიანცს სამის თვით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა. ნაზარიანცს დაბრალდა, რომ იოანისიანს შემდეგი ცილი დასწამა: იოანისიანი ატყუილებდა თავის გაზეთის ხელის-მომწერლებსო, ბანკში ვაჭრებს მალას ატანდა, ჩემს გაზეთზე ხელი მოაწერეთო, ხოლო ასი ათასი მანეთი იმ ფულიდგან, რომელიც მას ჩააბარეს. ბანკიდგან ფულს რომ ამლევ[illegible] და ვაჭრებს, ათას თუმნობით სთხოვდა: მასესხეთო. სემინარიის მზრუნველად ყოფნის დროს მასწავლებლებს ემუქრებოდა: თუ ჩემს გაზეთში არ იმუშავებთ, სამსახურიდგან დაგითხოვთო. მთელ ღამეებს ატარებდა ქალაქის თამაშობაში, ლოთობაში და გარყვნილობაშიო და სხვა.

სამოსამართლო პალატამ ტ. ნაზარიანცი დამნაშავედ იცნო და დაამტკიცა განაჩენი ოლქის სასამართლოსი, ხოლო მანიფესტების ძალით სამის თვით დაპატიმრება ორმაც დღემდე შეუმცირა.

—

ტფილისის ოლქის სასამართლო გაარჩევს 18 დეკემბერს გაზეთ „ივერიის“ რედაქტორის გამომცემლის ბ-ნ მიღუტინისა და ამავე გაზეთის თანამშრომლის ბ-ნ ბახტაძის საქმეს, რომელთაც ნაფიც ვექილის თანაშემწე ბ-ნი გვაზავა ბრალს სდებს, გაზეთის შემწეობით ცილი დამწამესო,

## ვაჭრების და იჯარადრების საყურადღებოდ.

7 დეკემბერს, 12 საათზედ, ტფილისის სათავადაზნაურო სკოლაში მოხდება ვაჭრობა იჯარის გასაცემად. იჯარადარმა უნდა აძლიოს სკოლას ყველა საჭირო ნივთები და სანოვაგე 1897 წლის 1 იანვრიდამ 1898 წლის 1 იანვრამდე.

პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე სკოლის კანცელარიაში დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

—

ისეთივე ვაჭრობა დანიშნულია 10 დეკემბერს, 12 საათზედ, ქალაქ თელავში მაზრის სამმართველოს კანცელარიაში. იჯარადარმა უნდა აძლიოს მომავალ წელს საჭირო ნივთები და სანოვაგე (სულ 7,000 მანათისა) საცხენოსნო სკოლას. პირობების შეტყობა შეიძლება სკოლის კანცელარიაში, ხოლო ვაჭრობის დღეს თელავის მაზრის სამმართველოში.

—

კვირას, 8 დეკემბერს, დილის 10 საათზედ ტფილისის ლომბარდში საჯაროდ გაიყიდება დაგირავებული და ვადაზედ დაუხსნელი სხვა და-სხვა ნავთები.

—

9 დეკემბერს ბათომის ლამოჟნაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება სხვა-და-სხვა საქონელი და ნივთები: ჩაი, თასები, ვერცხლის საათები, რევოლვერები, სასმელები, სტამბისა და სამეურნეო მანქანები და სხვა სულ 1,398 მანათისა.

—

გორის სამაზრო მმართველობა აცხადებს, რომ 8 დეკემბერს, 12 საათზედ, ხაშურში დანიშნულია ვაჭრობა ხაშურში მყოფ ჯარისათვის პურისა, ხორცისა და სხვა სანოვაგის იჯარის გასაცემად.

## ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 1 გადისდილის 9 ს. 30 წ. მიდის ბათომში საღ. 9 ს. 45 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში საღ. 4 ს. 49 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს, 1 წ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევის 1 ს. 10 წ; მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.


**годъ изданія 85-й. ОТКРЫТА ПОДПИСКА годъ изданія 85-й.**

1812. Большая ежедневная политическая и литературная газета 1897.
(безъ предварительной цензуры)

# СЫНЪ ОТЕЧЕСТВА

Печатается ежедневно въ двухъ изданіхъ.
**Первое изданіе выходитъ ежедневно листами большого формата съ еженедѣльными иллюстрированными приложеніями.**

Въ ежедневныхъ нумерахъ газеты сообщается о всѣхъ выдающихся событіяхъ въ придворной, духовной и военной сферахъ, а также всѣ важныя новости дня столичной, внутренней и иностранной жизни, по свѣдѣніямъ спеціальныхъ корреспондентовъ газеты и телеграммъ, **одновременно съ другими дорогими изданіями**, а потому газета **„Сынъ Отечества“** въ первомъ (большомъ) изданіи ВПОЛНѢ ЗАМѢНЯЕТЪ ДОРОГОЕ ЕЖЕДНЕВНОЕ ИЗДАНІЕ.

Кромѣ ежедневныхъ нумеровъ газеты, годовые подписчики получатъ:
1) 52 Нумера воскресныхъ приложеній, печатаемыхъ на веленевой глазированной бумагѣ, въ видѣ еженедѣльнаго иллюстрированнаго журнала, гдѣ помѣщаются романы, повѣсти, разсказы, стихотворенія и болѣе 300 художественныхъ рисунковъ.
2) ДВѢНАДЦАТЬ НУМЕРОВЪ „моды и рукодѣлія“, замѣняющіе „модный журналъ“.
3) СТѢННОЙ КАЛЕНДАРЬ разсылается, какъ прибавленіе при первомъ нумерѣ газеты.

## Новое безплатное приложеніе.

Въ числѣ 52-хъ безплатныхъ приложеній всѣ годовые подписчики газеты „Сынъ Отечества“ (первое изданіе), въ 1897 г., получатъ:
**Третій томъ избранныхъ литературныхъ произведеній извѣстнаго писателя**
**А. МИХАЙЛОВА—„грѣхи прошлаго“.**
Большой романъ, не вошедшій въ „Полное собраніе сочиненій.“

Подписная цѣна на первое изданіе (съ доставкою):
На годъ 8 р.—На полгода 4 р.—На три мѣсяца 2 р.—На одинъ мѣс. 1 р.
Разсрочка взносовъ допускается, но по соглашенію съ Главною конторою.

**второе изданіе газеты „Сынъ отечества“**

ВТОРОЕ ИЗДАНІЕ газеты „Сынъ Отечества“ ВЫХОДИТЪ ЕЖЕДНЕВНО. Въ нумерахъ газеты помѣщаются всѣ выдающіяся новости, а также придворныя, административныя, военныя и научныя извѣстія и телеграммы—

Одновременно со всѣми другими дорогими изданіями.

4 Каждый воскресный нумеръ въ 1897 году будетъ выходить въ размѣрѣ отъ 12 до 16 страницъ, отпечатанныхъ на глазированной бумагѣ, съ художественно выполненными портретами Высочайшихъ особъ, современныхъ (русскихъ и иностранныхъ) государственныхъ и общественныхъ дѣятелей, а также иллюстраціями торжествъ и событій, сосредоточивающихъ на себѣ, въ извѣстный моментъ, особое вниманіе русскаго общества. 2

Подписная цѣна на ВТОРОЕ ИЗДАНІЕ (съ доставкою и пересылкою по Россіи):
На годъ 4 рубля. || На полгода 2 рубля. || На три мѣсяца 1 рубль.

**Годовые подписчики газеты „Сынъ Отечаства“, въ 1897 году, могутъ получить новое роскошное изданіе, необходимое для каждой семьи, а именно:**

**НОВЫЙ БОЛЬШОЙ ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬБОМЪ—**
„Библія въ картинахъ знаменитаго художника Г. Дорэ“
(200 КАРТИНЪ СЪ ПОЯСНИТЕЛЬНЫМЪ ТЕКСТОМЪ И ВЪ ИЗЯЩНОЙ ОБЕРТКѢ).

Цѣна альбома для подписчиковъ (съ доставкою) ОДИНЪ руб. 50 коп. Желающіе пріобрѣтси, вмѣсто премій, художественныя изданія (портреты Ихъ Императорскихъ Величествъ, „Аѳонъ“, „Бурлаки на Волгѣ“, „Жертва Волги“ и другіе за прежніе года), уплачиваютъ за каждый экземпляръ съ доставкою—ОДИНЪ РУБЛЬ.
Безъ доставки—75 коп.

ГЛАВНАЯ КОНТОРА: СПБ., НЕВСКІЙ ПР., У АНИЧКИНА МОСТА, Д. № 68—40.
Иллюстрированное объявленіе и списокъ художественныхъ изданій высылаются безплатно.

6—1


Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 го Декабря, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია